ნამაზი

ძვირფასო ბავშვებო:

ნამაზის ლოცვა ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა, რომლის შესრულებასაც უზენაესი ალლაჰი ჩვენგან ითხოვს. ყოვლის გამჩენი ალლაჰი ბრძანებს: **„ნამაზი სრულყოფილად შეასრულეთ“** და **„ნამაზს გაუფრთხილდით.“**

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბერი მუხამმედი (სალლელლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანებს: **„ნამაზი რელიგიის საყრდენია.“** ნამაზის ლოცვით ჩვენს რელიგიას გავამყარებთ, რწმენას კი გავიძლიერებთ. ჯენნეთის (სამოთხის) მოპოვების მთავარი საშუალებაც სწორედ ნამაზია, რადგან ჩვენი საყვარელი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სხვა სიტყვებში ასეა ნაბრძანები: **„ჯენნეთის გასაღები ნამაზია.“**

ყველა მუსლიმანის მიერ ნამაზის ლოცვა ფარძია (აუცილებელია). ნამაზის ლოცვა უზენაესი ალლაჰის ბრძანებაა. დღის განმავლობაში აუცილებლად სალოცავი ხუთი დროის ნამაზი არსებობს. ესენია: დილა, შუადღე, იქინდი, საღამო და იასი.

რა უნდა გავაკეთოთ ლოცვის დაწყებამდე:

- აბდესი უნდა ავიღოთ. აბდესის გარეშე ვერ ვილოცავთ.
- სალოცავი ადგილი და ტანისამოსი სუფთა უნდა გვქონდეს.
- სხეულის ის ნაწილი უნდა დავფაროთ, რომლის დაფარვაც რელიგიით აუცილებელია.
- ყიბლის (ქაბეი მუაზზამას) მიმართულებით უნდა დავდგეთ.
- ნამაზი თავის დროზე უნდა შევასრულოთ და არ გამოვტოვოთ.
- რომელ ნამაზსაც ვლოცულობთ, მისი ნიეთი უნდა გავაკეთოთ.

ახლა კი ერთად ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა ვილოცოთ ნამაზი . . .

იფთითაჰ თექბირი

ნამაზის ლოცვისას შესასრულებელი პირველი ფარძი **„იფთითაჰ** (ნამაზის საწყისი) **თექბირია.“**

იფთითაჰ თექბირი ნამაზის **„ელლააჰუ ექბერ“** თქმით დაწყებაა. ხელების, სურათზე მოცემულის მსგავსად აწევა ძვირფასი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სუნნეთია.

ამ თექბირით ნამაზი დაწყებული გვექნება.

ნამაზის ლოცვისას უნდა გავაცნობიეროთ და ვიფიქროთ, რომ გამჩენი ალლაჰის წინაშე ვიმყოფებით. ამიტომ მოკრძალებული უნდა ვიყოთ, ყურადღება მხოლოდ ნამაზზე უნდა გავამახვილოთ და სხვა რამეზე არ ვიფიქროთ.

„ელლააჰუ ექბერ“ ნიშნავს „ალლაჰი უდიდესია“

„ნამაზი, ადამიანს ყოველგვარი უზნეობისა და ცუდისგან დაიცავს.“

(სურა: ანქებუთი; აიეთი: 45)



ყიამი (ფეხზე დგომა)

ნამაზის ფარძებიდან მეორე ყიამია, ანუ ფეხზე დგომაა. იფთითაჰ თექბირის შემდეგ ხელებს როგორც სურათშია მოცემული ისე შევკრავთ. სუბხანექეს, ფათიხას და ყურანიდან რამდენიმე აიეთს ვიკითხავთ. ყურანის კითხვა ნამაზის მესამე ფარძია, ამას „**ყირაათი**“ ეწოდება.

ბავშვებო!

ყურანი ქერიმის ბოლოში არსებული მოკლე სურეების დაზეპირება შედარებით მარტივია.

ნამაზი ძალიან მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა. ლოცვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უზენაესი ალლაჰის წინაშე ვიმყოფებით და ნაკითხი აიეთების გარდა სხვა რამეზე არ უნდა ვიფიქროთ.